ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №189

გამარტივებული შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 07 ივნისის №1-1/866 ბრძანების საფუძველზე

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 08 ივნისს ქ. თბილისში

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციის უფროსის **მარიამ დახუნდარიძის** სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა, №12, ტელეფონი 99-10-76
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "ფლაგ არტი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 206160018
მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. 40
ხელმძღვანელი: დირექტორი რ. დარჩიაშვილი
საბანკო რეკვიზიტები: ქ.თბილისი,სს "საქართველოს ბანკი" (ცენტრალური ფილიალი); ბანკის კოდი 220101502; ანგარიშის № 033467402.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის ასიგნების ფარგლებში დროშების შესყიდვა დანართის შესაბამისად (CPV-35821000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **6,328.00 ლარი.**
ექვსი ათას სამასოცდაოცი ლარი და 00 თეთრი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართით.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
ა) შემსყიდველს მიაწოდოს დროშები დანართის შესაბამისად;

ეროვნული ანგარიშვალდებულ დაბალანსებული
08 06 2011 წ.

ეროვნული ... 08 0

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ხარვეზის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: ადმინისტრაციის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს შალვა ელიზბარაშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა.

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ადმინისტრაციის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს შალვა ელიზბარაშვილს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. 40.

8.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2011 წლის 08 ივნისიდან 2011 წლის 09 ივნისის ჩათვლით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსთა და მეწარმეობის განვითარების სამინისტრო
ადმინისტრაციის
დეპარტამენტი
08 06 2011 წ.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების 2011 წლის 08 ივნისიდან და მოქმედებს 2011 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან დააკისრონ მეორე მხარეს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს შესყიდვის ობიექტის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
ᲓᲔᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ
201 . წ.
ᲨᲣᲠᲯᲔᲚᲘ

ᲠᲘᲒᲘᲗᲘ
201 . წ.
ᲨᲣᲠᲯᲔᲚᲘ

13. სხვა პირობები

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ატარებს წერილობით ფორმას. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ფაქსის მეშვეობით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
ადმინისტრაციის უფროსი მარიამ დახუნდარიძე	შპს "ფლაგ არტი" დირექტორი რ. დარჩიაშვილი

ფინანსთა სამინისტრო
ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის და ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური
08 02 2017 წ.
4 ფურცელი

№ 169

დანართი

მისაღებელი საქონლის ჩამონათვალი

№	საქონლის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით)
1	საქართველოს სახელმწიფო დროშა (ორმაგი) ზომებით 1.00X1.50	ცალი	10	136	**1360**
2	საქართველოს სახელმწიფო დროშა (ორმაგი) ზომებით 1.15X1.75	ცალი	8	185	**1480**
3	ჩინეთის სახელმწიფო დროშა (ორმაგი) ზომებით 1.00X1.50	ცალი	10	168	**1680**
4	ჩინეთის სახელმწიფო დროშა (ორმაგი) ზომებით 1.15X1.75	ცალი	8	226	**1808**

საერთო ღირებულება	**6,328.00 ლარი**

შემსყიდველი:
ადმინისტრაციის უფროსი /მარიამ დახუნდარიძე/

მიმწოდებელი:
შპს "ფლაგ არტი"
დირექტორი /რ. დარჩიაშვილი/